თ ა ნ ხ მ ო ბ ა

მე, ვახტანგი ამაშუკელი, პირადი №01012008906, როგორც შპს „სელკომი"-ს (ს/ნ 203838785) გენერალური დირექტორი, თანახმა ვარ შპს-მ „სედნაზერ" (ს/ნ 400207432), მოახდინოს შენობის ფასადზე არსებული ტენტის ფერის შეცვლა, შპს „სელკომი"-ს (ს/ნ 203838785) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის ქ. №46-ში, I სართულზე, საკადასტრო კოდი №01.13.06.009.004.01.500.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით პრეტენზია არ მაქვს, რასაც ვადასტურებ ჩემი ხელისმოწერით.

წინასწარ ვანდანი ამაშუკელი

სანოტარო აქტი

ორიათას ოცი წლის ოცდაოთხ ივნისს მე, ნოტარიუსს, მაია წიკლაურს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი №55, მომმართა მოქალაქე

ვახტანგი ამაშუკელმა, დაბ. 15.04.1954 წელს თერჯოლაში, მცხოვრებმა: ქ. თბილისი, ვარკეთილის დასახლება, IV მიკრო/რაიონი, III კვარტალი, კორპუსი 7, ბინა 75-ში, მისი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის რეკვიზიტებია 19IA45988, პირადი №01012008906, გაც. 24.10.2019წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ.

მან მოითხოვა თანხმობის ტექსტის შედგენა და მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა და ვადასტურებ, რომ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლინების ნამდვილობაში, განვუმარტე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, რის შემდეგ ხელმომწერმა განაცხადა, რომ წინამდებარე ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას. ხელმოწერა შესრულდა ჩემი, ნოტარიუსის თანდასწრებით. ნოტარიუსი არ ადასტურებს წინამდებარე ტექსტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მასზე.

ამ სანოტარო აქტის დამოწმებისთვის გადახდილია საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების №507, 29.12.2011წ. „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" მუხლი 31, პუნქტი 3-ით, 2 ლარი, პუნქტი 14-ით 1 ლარი, მუხლი 39, პუნქტი 1-ით – 2 ლარი, დამოწმდა ერთ ეგზემპლარად, სულ 5 ლარი.

ნოტარიუსი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N200372875
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	24.06.2020 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**მაია წიკლაური**
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი წერეთლის 55
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 35-21-19
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	49978911040420

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18